

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

დადგენილება №030243

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

21 მარტი 2025 წ.

ქ. ფოთი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): დადგენილების გამომტანაზე უფლებამოსილი პირი - შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის უფროსი იურისტი ნინო ჯიშკარიანი.

2. საქმის განხილვის თარიღი: 21.03.2025 წ.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე: ფიზიკური პირი თენგიზ ხომტარია პ/ნ 01029006198, აბონენტის ნომერი 1117195253, ქ. აბაშა, აფხაზეთის ქ. №19, ტელ.: 599567220.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახილველად გადმომეცა თენგიზ ხომტარიას, როგორც ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №030243 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე, რომლის თანახმად, თენგიზ ხომტარიას სარგებლობაში არსებული ბუნებრივი აირის მრიცხველის ამთვლელი მექანიზმის ხუფი ქვემოდან იყო გახვრეტილი. აღნიშნულის გამო მრიცხველი მოიხსნა, დაილუქა და გაიგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ტრასოლოგიური გამოკვლევის ჩასატარებლად. საქმეზე თანდართულია ფოტომასალა, აღრიცხვის კვანძის დათვალიერების აქტი, მრიცხველის შეცვლის აქტი, მოხსენებითი ბარათი, ექსპერტიზის დასკვნა.

ოქმის შემდგენის განმარტებით 2024 წლის 17 დეკემბერს შემოვლის დროს სპეციალისტების ირაკლი მიმინოშვილისა და თემურ კაჭარავას მიერ შემჩნეულ იქნა რომ აბონენტ თენგიზ ხომტარიას საცხოვრებელ სახლთან დამონტაჟებულ მრიცხველს ყუთზე ლუქი ჰქონდა ამძვრალი. აღნიშნულის გამო მრიცხველი დეტალურად დათვალიერდა და გამოვლინდა ბუნებრივი აირის დატაცების ნიშნები, კერძოდ კი მრიცხველის ამთვლელი მექანიზმის კორპუსს ქვემოდან აღნიშნებოდა გამჭოლი ნახვრეტი.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის #000191425 დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევად წარმოდგენილი elster BK-G 4 T მოდელის, №26970203 გაზის მრიცხველის (ლუქი SOCAR 2549386) მთვლელი მექანიზმის დამცავი ხუფი დაზიანებულია. დარღვეულია მისი მთლიანობა და მასზე ქვედა ჰორიზონტალურ ფართზე, მთვლელი მექანიზმის ბოლო გორგოლაჭის შესატყვის მიდამოში აღინიშნება შეღწევისათვის დამახასიათებელი გარეშე საგნის მექანიკური ზემოქმედების კვალი - მომრგვალო გამჭოლი ჩანახვრეტის სახით, რომლის გასწვრივ, შიდა მთვლელი მექანიზმის ჩარჩოზე და ბოლო გორგოლაჭზე გარეშე საგნის მექანიკური ზემოქმედების კვლებია - ჩარჩოზე ჩანახვრეტის, ბოლო გორგოლაჭზე კი ნაფხაჭნის სახით.

ამა წლის 10 მარტს შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი #030243 და სხდომა დაინიშნა 21 მარტს. სხდომაზე არ გამოცხადდა თენგიზ ხოშტარია, თუმც მან სატელეფონო ზარის საშუალებით დააფიქსირა თავისი პოზიცია, განმარტა რომ არ აღიარებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს, მას არ დაუზიანებია მრიცხველი და არც ის იცის ვის შეიძლება გაეხვრიტა მრიცხველი, განაცხადა რომ ამჟამად ცხოვრობს ქალაქ თბილისში და პერიოდულად ჩამოდის აბაშაში.

ზემოთაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ თანამშრომელთა ახსნა განმარტებებისა და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, ვთვლით რომ ადგილი აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევადა კოდექსის 96¹ მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას.

შსს ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოში გაგზავნილ იქნა მოთხოვნა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე შემოწმების მიზნით, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საინფორმაციო ბაზაში, თენგიზ ხოშტარია არ ირიცხება.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის პირველი ნაწილით, 200, 228², 236-237, 260-ე და 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 და 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ თენგიზ ხოშტარია პ/ნ 01029006198 ცნობილ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად, სამართალდარღვევა გათვალისწინებული საქართველოს ასკ-ის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დაედოს ადმინისტრაციული სახდელი გაფრთხილება.
7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.
8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მისამართი: ქ.თბილისი მიცკევიჩის ქ. №19).

დადგენილების გამომტანი

